ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №01-06/03
რიგგარეშე სხდომის დღის-წესრიგის პროექტი
(სხდომა ჩატარდება დღის 11:00 საათზე)

1. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

3. „ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნებაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

5.ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება №--
2020 წლის -- თებერვალი
დაბა ქედა

,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 25/08/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016222) შეტანილი იქნას ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) ნოტარიულად დამოწმებული ამხანაგობის წესდების ასლი ან საერთო კრების ოქმის დედანი კრების თავმჯდომარის ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერით (ამხანაგობის წესდების არარსებობის შემთხვევაში);“

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საერთო კრების ოქმის დედანი კრების თავმჯდომარის ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერით;“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შუქრი თურმანიძე**

განმარტებითი ბარათი

,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილების შესაბამისად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების რეგისტრაციის პროცედურის გამარტივება.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატული აქტის მიღების მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

1. მოქმედი დადგენილების პირველი მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამხანაგობის აღრიცხვაზე აყვანისათვის ამხანაგობის თავმჯდომარემ ან საამისოდ უფლებამოსილი პირმა ქედის მუნიციპალიტეტის მერს უნდა მიმართოს განცხადებით და წარუდგინოს სხვა საჭირო დოკუმენტებთან ერთად ,,ნოტარიულად დამოწმებული ამხანაგობის წესდების ასლი ან ნოტარიულად დამოწმებული ამხანაგობის საერთო კრების ოქმის დედანი (ამხანაგობის წესდების არარსებობის შემთხვევაში);“ დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტის შესაბამისად, ამხანაგობის აღრიცხვაზე აყვანისათვის ამხანაგობის თავმჯდომარემ ან საამისოდ უფლებამოსილი პირმა ქედის მუნიციპალიტეტის მერს უნდა მიმართოს განცხადებით და წარუდგინოს საჭირო დოკუმენტებთან ერთად ,,ნოტარიულად დამოწმებული ამხანაგობის წესდების ასლი ან საერთო კრების ოქმის დედანი კრების თავმჯდომარის ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერით (ამხანაგობის წესდების არარსებობის შემთხვევაში);“ გამომდინარე იქედან, რომ ნოტარიულად დამოწმებული საერთო კრების ოქმი გულისხმობს ნოტარიუსის კრებაზე დასწრებას, აღნიშნული ართულებს ამხანაგობის კრების ჩატარების, იწვევს დამატებით ხარჯებს და დროს. წარმოდგენილი ცვლილების თანახმად ამხანაგობის მერიაში რეგისტრაციისათვის საკმარისი გახდება ამხანაგობის სადამფუძნებლო კრების ოქმის წარმოდგენა, რომელზეც მხოლოდ კრების თავმჯდომარის ხელმოწერა უნდა იყოს ნოტარიულად დამოწმებული.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ცვლილების შემდეგ, ოქმზე ხელმომწერი პირის ხელმოწერა დადასტურდება ნოტარიულად, ნაცვლად ოქმის ნოტარიულად დადასტურებისა, რაც იწვევდა დამატებით ხარჯებსადა დროს:

,,მუხლი 4

1. ამხანაგობების აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შესატანად, ამხანაგობის თავმჯდომარე ან საამისოდ უფლებამოსილი პირი მერიას მიმართავს განცხადებით, რომელსაც თან ერთვის:

„ა) საერთო კრების ოქმის დედანი კრების თავმჯდომარის ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერით;“

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ამირან დევაძე.

<u>**პროექტი**</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2020 წლის -- თებერვალი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

დადგინდეს ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, თანახმად დანართისა.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 თებერვლის №1 დადგენილება (სსმ, ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 200140030.35.134.016295, 25/02/2019).

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შუქრი თურმანიძე**

დანართი

ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

1. ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$C_N = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K$, სადაც:

ა) C_N არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) I_{MG} არის დაბა ქედის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0.38-ს;

გ) I_{TL} არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის _ 1-ს; (რადგან დაბა ქედაში ზონირება არ ხორციელდება)

დ) C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0.24 ლარს;

ე) K _ არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 76.8-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით დაბა ქედაში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

I_{MG}	I_{TL}	C	K	C_N (ლარი)
0.38	1	0.24	76.8	7.0

3. ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 30%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2.10 ლარს.

4. ქედის მუნიციპალიტეტის დასხლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 1.75 ლარს.

5. ქედის მუნიციპალიტეტის დასხლებათა შორის არეალებში გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრული შიდასახელმწიფოებრივი მნიშნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3.50 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-4 პუნქტით დადგენილი ფასი.

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებულ სამართლებრივ აქტში ცვლილებების შეტანა და მისი ჩამოყალიბება ახალი რედაქციით.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია, დადგინდეს ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი - ზონირების მიხედვით და განისაზღვროს მისი გამოანგარიშების წესები.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივითვი თმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ სამართლებრივ აქტი (დადგენილება) მიიღოს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე სწორედ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის პირველი მუხლის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგენა, სადაც მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი მნიშვნელობა შემცირდა K – 80-ს ნაცვლად მისი მნიშვნელობა განისაზღვრა K-76.8-ით, რამაც გამოიწვია ფასების დადგენის ნაწილში ცვლილებები, გამომდინარე აქედან თუ როგორ ხდება აღნიშნულ საკითხის სამართლებრივი რეგულირება დაწვრილებით გადმოცემულია დადგენილების პროექტზე თანდართულ დანართებში, კერძოდ:

1. ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$C_N = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K,$$ სადაც:

ა) C_N არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) I_{MG} არის დაბა ქედის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0.38-ს;

გ) I_{TL} არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის _ 1-ს; (რადგან დაბა ქედაში ზონირება არ ხორციელდება)

დ) C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0.24 ლარს;

ე) K _ არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 76.8-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით დაბა ქედაში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

I_{MG}	I_{TL}	C	K	C_N (ლარი)
0.38	1	0.24	76.8	7.0

3. ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 30%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2.10 ლარს.

4. ქედის მუნიციპალიტეტის დასხლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 1.75 ლარს.

5. ქედის მუნიციპალიტეტის დასხლებათა შორის არეალებში გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრული შიდასახელმწიფოებრივი მნიშნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3.50 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-4 პუნქტით დადგენილი ფასი. ასევე, წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის მე-2 მუხლის შესაბამისად ხდება ძალადაკარგულად გამოცხადდა „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 თებერვლის №1 დადგენილება (სსმ, ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 200140030.35.134.016295, 25/02/2019).ხოლო, მესამე მუხლით განსაზღვრულია დადგენილების ძალაში შესვლის საკითხი.

ა.დ) ნორმატიული აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რათა სამართლებრივად დროულად მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - სულიკო ჩხიკვაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

<u>**პროექტი**</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2020 წლის -- თებერვალი

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №30 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი - www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.134.016273, 02/08/2018) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების „პირველი“ და „მე-2“ მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

1. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნას მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებელი:

ა) ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

ბ) შენობა-ნაგებობებზე ახალი სართულ(ებ)ის დაშენების ან არსებული სართულ(ებ)ის დემონტაჟისას დაშენებული ან/და დემონტირებული სართულ(ებ)ის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის 1 კვ.მ-ზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

გ) შენობა-ნაგებობის ნებისმიერი სართულის განაშენიანების ინტენსივობის ფართობის შეცვლისას დამატებული განაშენიანების ინტენსივობის ფართობის 1 კვ.მ-ზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

დ) დემონტაჟის დროს დემონტაჟს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის განაშენიანების ინტენსივობის ფართობის 1 კვ.მ.-ზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

ე) მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის დროს ხაზობრივი ნაგებობის პროექტით გათვალისწინებულ ერთ გრძივ მეტრზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

ვ) მიწისზედა ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის დროს ხაზობრივი ნაგებობის პროექტით გათვალისწინებულ ერთ გრძივ მეტრზე 0,50 (ორმოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით;

ზ) ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი, მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს II კლასის ობიექტებისთვის - 50 ლარის, III კლასის ობიექტებისთვის - 200 ლარის, ხოლო IV კლასის ობიექტებისთვის - 400 ლარის ოდენობით;

თ) იმ ობიექტებზე, რომელთა მშენებლობისათვის ნებართვის მოსაკრებელი გადახდილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის ოდენობის გათვალისწინებით და გასულია მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა, ახალი მშენებლობის

ნებართვის გაცემისას გადახდილი უნდა იქნეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის შესაბამისად განსაზღვრული მოსაკრებელი.

2. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნას დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლი:

ა) დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის ადგილობრივი მოსაკრებელი განისაზღვროს ერთ სულ მოსახლეზე – 0.50 (ორმოცდაათი თეთრი) ლარი თვეში, ხოლო იმ ფიზიკური პირებისათვის, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 70 000 ან 70 000-ზე დაბალია, მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს ერთ სულ მოსახლეზე - 0,25 (ოცდახუთი თეთრი) ლარი თვეში. ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 4 სულით;

ბ) იურიდიული პირების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს – 25 (ოცდახუთი) ლარის ოდენობით ერთ კუბურ მეტრ ნარჩენზე;

გ) იურიდიული პირების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის დაკავებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებლი, თანახმად დანართი №3-ს შესაბამისად.

3. დამტკიცდეს:

ა) ინსტრუქცია მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ, თანახმად დანართი №1-ისა;

ბ) ინსტრუქცია დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის შესახებ, თანახმად დანართი №2-ისა.

მუხლი 2.

ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა არ გავრცელდეს და მშენებლობის ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებლის გადახდისაგან განთავისუფლდეს სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტების მშენებლობა, ხოლო მშენებლობის ნებართვის მოპოვებას არ საჭიროებს და მისგან გათავისუფლდეს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დაწესებულებები რომელთა საქმიანობაზე ან ქმედებებზე არ ვრცელდება ამავე კანონის მოქმედება.“

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1.

ინსტრუქცია
მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის
გამოანგარიშებისა და გადახდის
წესის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

1. ინსტრუქცია შემუშავებულია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ და „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად. იგი განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის გაცემის (მიღების) და მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესს.

2. მშენებლობის ნებართვა არის განსაზღვრული ფორმის მქონე, ერთჯერადი დოკუმენტი, რომელიც უფლებას აძლევს მშენებლობის ობიექტის მესაკუთრე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს განახორციელოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების შესაბამისად შედგენილი პროექტით განსაზღვრული ნაგებობის, მისი ელემენტების, კონსტრუქციული სისტემის ან მათი შემაერთებელი კვანძების მშენებლობის, მონტაჟის ან სხვა სპეციალური სამუშაოები, ნებართვაში მითითებული თარიღიდან არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებაში მითითებულ ვადებში.

3. მშენებლობის ნებართვა ადასტურებს მისი მიღების კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად ნებართვაში მითითებულ ვადებში სამშენებლო სამუშაოების განხორციელების უფლებას.

მუხლი 2. ნებართვის გაცემის (მიღების) ობიექტი

მშენებლობის ნებართვის გაცემის (მიღების) ობიექტები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 3. მოსაკრებლის განაკვეთი და გადახდის წესი

1. მშენებლობის მოსაკრებლის განაკვეთი კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრება წინამდებარე დადგენილებით.

2. მოსაკრებლის გადახდა ხდება ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით, საბანკო დაწესებულებაში, წინასწარ განსაზღვრულ ანგარიშზე. მოსაკრებელი გადაიხდება ეროვნულ ვალუტაში. მოსაკრებლის გადახდა დასტურდება მოსაკრებლის გადახდის თაობაზე საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული დადგენილი ფორმის ქვითრის წარდგენით.

მუხლი 4. მოსაკრებლის გაანგარიშების წესი

მოსაკრებელი გამოიანგარიშება ობიექტის პროექტით განსაზღვრული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის გადამრავლებით მოსაკრებლის განაკვეთზე. გამონაკლისია ხაზობრივი ნაგებობები, რომელზედაც მოსაკრებლის ოდენობა გამოიანგარიშება ხაზობრივი ნაგებობის გრძივი მეტრების მიხედვით. ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის ნებართვაზე ამ დადგენილებით განსაზღვრული მოსაკრებლის ოდენობა მოიცავს როგორც ხაზობრივი ნაგებობის, ისე ხაზობრივი ნაგებობის მიწის ზედაპირიდან დამჭერი ბოძების ან/და კონსტრუქციების განთავსების მოსაკრებელსაც. ხაზობრივი ნაგებობის მიწის ზედაპირიდან დამჭერი ბოძების ან/და კონსტრუქციების განთავსებაზე ცალკე მოსაკრებელი არ გადაიხდევინება.

მუხლი 5. მოსაკრებლის გადახდაზე კონტროლი

მოსაკრებლის თანხების ადგილობრივ ბიუჯეტში სწორად და დროულად გადახდაზე, ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაციის სრულყოფაზე კონტროლს ახორციელებს და პასუხისმგებელია ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური.

მუხლი 6. მოსაკრებლისაგან განთავისუფლება

1. მოსაკრებლისაგან განთავისუფლებულია სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ ობიექტთა აღდგენითი სამუშაოები.

2. თუ მშენებლობის ნებართვის მაძიებელია მუნიციპალიტეტი თავის ტერიტორიაზე ან „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, ამ დადგენილებით გათვალისწინებული მოსაკრებელი არ გადაიხდება.

მუხლი 7. მშენებლობის ნებართვის გამცემი

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციულ აქტსა და მშენებლობის სანებაართვო მოწმობას ხელს აწერს ქედის მუნიციპალიტეტის მერი.“

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ინსტრუქცია
დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის შესახებ“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე **შუქრი თურმანიძე**

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტში მოქმედი სამართლებრივ აქტში სათანადო ცვლილების განხორციელება.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია, ცვლილებების შეტანა ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, მათი განაკვეთის ოდენობის განსაზღვრის წესების და მას განხორციელების პროცედურებში.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივითვი თმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ სამართლებრივ აქტი (დადგენილება) მიიღოს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე სწორედ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისად ხდება „ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანა **კერძოდ:**

1. დადგენილების „პირველი“ მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით :

„მუხლი 1.

1. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნას მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებელი:

ა) ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

ბ) შენობა-ნაგებობებზე ახალი სართულ(ებ)ის დაშენების ან არსებული სართულ(ებ)ის დემონტაჟისას დაშენებული ან/და დემონტირებული სართულ(ებ)ის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის 1 კვ. მ-ზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

გ) შენობა-ნაგებობის ნებისმიერი სართულის განაშენიანების ინტენსივობის ფართობის შეცვლისას დამატებული განაშენიანების ინტენსივობის ფართობის 1 კვ. მ-ზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

დ) დემონტაჟის დროს დემონტაჟს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის განაშენიანების
ინტენსივობის ფართობის 1 კვ. მ. -ზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

ე) მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის დროს ხაზობრივი ნაგებობის პროექტით
გათვალისწინებულ ერთ გრძივ მეტრზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

ვ) მიწისზედა ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის დროს ხაზობრივი ნაგებობის პროექტით
გათვალისწინებულ ერთ გრძივ მეტრზე 0,50 (ორმოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით;

ზ) ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი, მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს II კლასის ობიექტებისთვის - 50 ლარის, III კლასის ობიექტებისთვის - 200 ლარის, ხოლო IV კლასის ობიექტებისთვის - 400 ლარის ოდენობით;

თ) იმ ობიექტებზე, რომელთა მშენებლობისათვის ნებართვის მოსაკრებელი გადახდილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის ოდენობის გათვალისწინებით და გასულია მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა, ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემისას გადახდილი უნდა იქნეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის შესაბამისად განსაზღვრული მოსაკრებელი.

2. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნას დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლი:

ა) დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის ადგილობრივი მოსაკრებელი განისაზღვროს ერთ სულ მოსახლეზე – 0.50 (ორმოცდაათი თეთრი) ლარი თვეში, ხოლო იმ ფიზიკური პირებისათვის, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 70 000 ან 70 000-ზე დაბალია, მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს ერთ სულ მოსახლეზე - 0,25 (ოცდახუთი თეთრი) ლარი თვეში. ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 4 სულით;

ბ) იურიდიული პირების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს – 25 (ოცდახუთი) ლარის ოდენობით ერთ კუბურ მეტრ ნარჩენზე;

გ) იურიდიული პირების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის დაკავებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებლი, თანახმად დანართი №3-ს შესაბამისად.

3. დამტკიცდეს:

ა) ინსტრუქცია მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ, თანახმად დანართი №1-ისა;

ბ) ინსტრუქცია დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის შესახებ, თანახმად დანართი №2-ისა.“

2. დადგენილების მე-2 მუხლის პირველ პუნქტში არსებული სიტყვა - „ა ქვეპუნქტის“ ამოღება განხორციელდა მხოლოდ და ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით:

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით:

„დანართი №1

ინსტრუქცია

მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

1. ინსტრუქცია შემუშავებულია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ და „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად. იგი განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის გაცემის (მიღების) და მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესს.

2. მშენებლობის ნებართვა არის განსაზღვრული ფორმის მქონე, ერთჯერადი დოკუმენტი, რომელიც უფლებას აძლევს მშენებლობის ობიექტის მესაკუთრე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს განახორციელოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების შესაბამისად შედგენილი პროექტით განსაზღვრული ნაგებობის, მისი ელემენტების, კონსტრუქციული სისტემის ან მათი შემაერთებელი

კვანძების მშენებლობის, მონტაჟის ან სხვა სპეციალური სამუშაოები, ნებართვაში მითითებული თარიღიდან არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებაში მითითებულ ვადებში.

3. მშენებლობის ნებართვა ადასტურებს მისი მიღების კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად ნებართვაში მითითებულ ვადებში სამშენებლო სამუშაოების განხორციელების უფლებას.

მუხლი 2. ნებართვის გაცემის (მიღების) ობიექტი

მშენებლობის ნებართვის გაცემის (მიღების) ობიექტები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 3. მოსაკრებლის განაკვეთი და გადახდის წესი

1. მშენებლობის მოსაკრებლის განაკვეთი კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრება წინამდებარე დადგენილებით.

2. მოსაკრებლის გადახდა ხდება ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით, საბანკო დაწესებულებაში, წინასწარ განსაზღვრულ ანგარიშზე. მოსაკრებელი გადაიხდება ეროვნულ ვალუტაში. მოსაკრებლის გადახდა დასტურდება მოსაკრებლის გადახდის თაობაზე საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული დადგენილი ფორმის ქვითრის წარდგენით.

მუხლი 4. მოსაკრებლის გაანგარიშების წესი

მოსაკრებელი გამოიანგარიშება ობიექტის პროექტით განსაზღვრული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის გადამრავლებით მოსაკრებლის განაკვეთზე. გამონაკლისია ხაზობრივი ნაგებობები, რომელზედაც მოსაკრებლის ოდენობა გამოიანგარიშება ხაზობრივი ნაგებობის გრძივი მეტრების მიხედვით. ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის ნებართვაზე ამ დადგენილებით განსაზღვრული მოსაკრებლის ოდენობა მოიცავს როგორც ხაზობრივი ნაგებობის, ისე ხაზობრივი ნაგებობის მიწის ზედაპირიდან დამჭერი ბოძების ან/და კონსტრუქციების განთავსების მოსაკრებელსაც. ხაზობრივი ნაგებობის მიწის ზედაპირიდან დამჭერი ბოძების ან/და კონსტრუქციების განთავსებაზე ცალკე მოსაკრებელი არ გადაიხდევინება.

მუხლი 5. მოსაკრებლის გადახდაზე კონტროლი

მოსაკრებლის თანხების ადგილობრივ ბიუჯეტში სწორად და დროულად გადახდაზე, ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაციის სრულყოფაზე კონტროლს ახორციელებს და პასუხისმგებელია ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური.

მუხლი 6. მოსაკრებლისაგან განთავისუფლება

1. მოსაკრებლისაგან განთავისუფლებულია სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ ობიექტთა აღდგენითი სამუშაოები.

2. თუ მშენებლობის ნებართვის მაძიებელია მუნიციპალიტეტი თავის ტერიტორიაზე ან „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, ამ დადგენილებით გათვალისწინებული მოსაკრებელი არ გადაიხდება.

მუხლი 7. მშენებლობის ნებართვის გამცემი

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციულ აქტსა და მშენებლობის სანებაართვო მოწმობას ხელს აწერს ქედის მუნიციპალიტეტის მერი.“

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ის სათაური ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით:

„ინსტრუქცია

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის შესახებ“

5. დადგენილების მე-2 მუხლი აწესრიგებს დადგენილებისა და განხორციელებული ცვლილებების ძალაში შესვლის საკითხებს.

გამომდინარე აქედან თუ როგორ ხდება აღნიშნულ საკითხის სამართლებრივი რეგულირება დაწვრილებით გადმოცემულია დადგენილების პროექტში.

ა.დ) ნორმატიული აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რათა სამართლებრივად დროულად მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე რადგან გაიზრდა მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - სულიკო ჩხიკვაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2020 წლის -- თებერვალი
დაბა ქედა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნებაზე
ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის
თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 21-ე მუხლის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (ლევან გორგილაძე) დააფუძნოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი.“

2. ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს დაფუძნებასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობითდადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შუქრი თურმანიძე**

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნებაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის შესახებ.

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 21-ე მუხლის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა, რათა მან განახორციელოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს დაფუძნება, სწორედ ამ მიზეზით ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შესაბამისი მოთხოვნით, სამართლებრივი აქტის - საკრებულოს განკარგულების პროექტით და თანდართული საქმის მასალებით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს დაფუძნებისათვის ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღება.

ცენტრის მიზნების შესაბამისად მის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

მუნიციპალიტეტისათვის ბოლო წლებში პრიორიტეტულ დარგს წარმოადგენს ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა გამომდინარე იქედან, რომ ყოველწლიურად მუნიციპალიტეტში არსებული სანახაობების (ჩანჩქერები, ისტორიული ობიექტები, ალპური ზონა და სხვა) დამთვალიერებელთა რიცხვმა გადააჭარბა 300000 ვიზიტორს. რაც ქვეყანაში დღეის მდგომარეობით არსებული ტურისტული პოტენციალიდან გამომდინარე არ არის უმნიშვნელო რაოდენობა.

მუნიციპალიტეტის მხრიდან 2014-2019 წლებში მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა დასათვალიერებელი ობიექტების ტერიტორიებზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით. აშენდა გზები, ბილიკები, გასართობი ცენტრები, საპიკნიკე ადგილები, ფანჩატურები, გარე განათებები, პარკინგები და სველი წერტილები.

მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის გატარებული ღონისძიებები არ მიგვაჩნია საკმარისად შემდეგი გარემოებების გამო:

- ახლად შექმნილ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისათვის დღეის მდგომარეობით არ არის რაიმე ფინანსები გამოყოფილი და ობიექტები არ არის განპირობებული რომელიმე სამსახურზე ან უწყებაზე, ამიტომ მიტოვებულია ბედის ანაბარად, რის გამოც ობიექტების ნაწილი ტურისტული სეზონისათვის არაა წესრიგში. უფრო მეტიც ზოგიერთი მათგანი დაზიანებულია კიდეც.

- ზოგიერთი ახლადშექმნილი ტურისტული ობიექტი გამოუყენებელია დანიშნულების შესაბამისად და რაიმე ფუნქცია არ აქვს მინიჭებული, მაგალითად აწჰესის დასახლებასა და დაბა ქედაში აგებული საკონცერტო დარბაზები, სპორტული მოედნები და სხვა.

- დღემდე არ ხდება ვიზიტორებზე სერვისების მიწოდების დივერსიფიკაცია და მრავალფეროვნება. კერძოდ, ტურისტთა ნაკადის შემოსვლის მიზანს წარმოადგენს მხოლოდ სანახაობების დათვალიერება და უგულებელყოფილია მასზე რაიმე სერვისების მიწოდება. გამომდინარე აქედან მიუხედავად ტურისტული მაღალი პოტენციალისა, ეკონომიკური აქტივობის კუთხით ჯერჯერობით მინიმალური ღონისძიებებიც არ არის გატარებული, სახელმწიფოს მხრიდან დარგის განვითარებისათვის ბოლო წლებში განხორციელებული

ფინანსური მხარდაჭერის მიუხედავად. მუნიციპალიტეტში არც მერიის და არც კერძო სექტორის მხრიდან სერვისების განვითარების კუთხით არ არის საჭირო ნაბიჯები გადადგმული. კერძო სექტორის მიერ მიღებული გრანტები ძირითადად გამოყენებულია ოჯახური სასტუმროების და ღვინის მარნების მოწყობისათვის. სხვა ტურისტული მიმართულებების შექმნისათვის დღემდე მუნიციპალიტეტის რესურსებიდან გამომდინარე არ არის ეკონომიკური აქტიობა.

- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მუნიციპალიტეტის მერიასთან შეიქმნას შეზღუდული შესაძლებლობის საზოგადოება, რომელსაც წესდებით მინიჭებული ექნება უფლება ტურიზმის განვითარების კუთხით განახორციელოს შესაბამისი სერვისების მიწოდება და გამრავალფეროვნება.

- შპს-ს საკრებულოს თანხმობით გადაეცემა მუნიციპალური ქონების ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია ტურისტული განვითარებისათვის მათი მოვლა-პატრონობისა და შემოსავლების მიღების მიზნით.

- უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეთა დასაქმებას;

- განავითარებს მომსახურების სერვისებს მუნიციპალიტეტის შესაბამისი რესურსების გათვისებისა და ფინანსური შემოსავლების გაზრდის მიზნით;

- გამოავლენს ახალ შესაძლებლობებს საჭირო სერვისების დივერსიფიცირების და გამრავალფეროვნების კუთხით;

- იზრუნებს სახელმწიფო და სხვა ინვესტორების მიერ მიზნობრივი პროგრამების, გამოყოფილი გრანტების მოპოვებისათვის გამოუყენებელი ობიექტების ამოქმედებასა და ახალი ტურისტული მომსახურების ობიექტების შექმნისათვის.

გამომდინარე იქედან, რომ საწყის ეტაპზე შპს-ს საქმიანობა შემოიფარგლება მხოლოდ მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული ქონების ექსპლოატაციით, სამომავლოდ საკრებულოს განკარგულებით განისაზღვრება მომსახურების ტარიფები და ფასები.

ასევე, საწყისი ეტაპისათვის შპს-ს მიერ საკუთარი შემოსავლების მიღებამდე და ბიუჯეტის შექმნამდე თანამშრომელთა სარგოებისა და სამეურნეო ხარჯების გაწევის მიზნით მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყოფა სათანადო ხარჯები.

ცენტრს უფლება აქვს განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

აღნიშნულ სამართლებრივ აქტს თან ერთვის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს წესდების პროექტი სადაც დაწვრილებით მოცემულია ორგანიზაციულ-სამართლებრივი საკითხები.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არსს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გაცემა, რათა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ განახორციელოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს დაფუძნება.

აღნიშნული სამართლებრივი აქტის პროექტი განსაზღვრავს სამართლებრივ ასპექტებს, რომელიც ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით, კერძოდ:

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (ლ. გორგილაძე) დააფუძნოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი.“

2. ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს დაფუძნებასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობითდადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში რათა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემდეგ, განახორციელოს შემჭიდროებულ ვადებში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს დაფუძნება.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას იურიდიული პირის ფუნქციონირების მიზნით.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მეიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მეიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სულიკო ჩხიკვაძე.

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს

წ ე ს დ ე ბ ა

ქედა 2020 წელი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს
წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში - საზოგადოება) „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“ წარმოადგენს ,,მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს.

2. საზოგადოების დამფუძნებელია ქედის მუნიციპალიტეტი, ხოლო დამფუძნებლის უფლებამოსილებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

3. საზოგადოება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

4. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

5. საწარმოს სახელწოდება/საფირმო სახელწოდება შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ცენტრი“.

6. საწარმოს სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

7. საწარმოს იურიდიული მისამართი - ქედა, სოფელი ქვედა მახუნცეთი, მე-5 ქუჩა, I ჩიხი №1, ელექტრონული ფოსტის მისამართი: ltdkedatourism@gmail.com

8. საზოგადოებას აქვს წესდება, ბეჭედი, დამოუკიდებელი ბალანსი, საკუთარი ხარჯთაღრიცხვა და სათანადო ანგარიში სახელმწიფო ხაზინაში, საბანკო ანგარიშები და სტატუსის განმსაზღვრელი სხვა შესაბამისი რეკვიზიტები.

9. საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს ემბლემა. საზოგადოების ემბლემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოების თანამდებობის პირთა და მოხელეთა სავიზიტო ბარათებზე, აგრეთვე ინდივიდუალურ - სამართლებრივ აქტებზე.

10. საწარმოს პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.

11. საზოგადოების საქმიანობის საგანი:

ა) ტურისტული ობიექტების მოვლა შენახვა;

ბ) ტურისტული სერვისების შექმნა და განვითარება;

გ) გადასახადების ამოღება;

დ) ქედის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესწავლა და შესაბამისი სტრატეგიული გეგმის შექმნა;

ე) ინვესტორებთან და დონორებთან საგრანტო პროექტების მომზადება და წარდგენა.

12. საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

მუხლი 2. საზოგადოების დამფუძნებლები

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან: საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორი და 100% წილის მფლობელია ქედის მუნიციპალიტეტი (საინდენტიფიკაციო კოდი: 246762061, მისამართი: დაბა ქედა მ. კოსტავას ქუჩა №3).

მუხლი 3. საზოგადოების მართვა

1. საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება.

2. საზოგადოების პარტნიორის უფლებამოსილებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

3. პარტნიორთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. საწარმოს ყოველ პარტნიორს ან/და დირექტორს, შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში პარტნიორებს შეუძლიათ დამატებათა შეტანა დღის წესრიგში.

4. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც კი, თუ მასზე არ გამოცხადდება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები).

5. პარტნიორთა კრების მონაწილენი თავიანთი შემადგენლობიდან ხმების უბრალო უმრავლესობით ირჩევენ თავმჯდომარეს. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების მიღებისთანავე თავმჯდომარე ადგენს და ხელს აწერს კრების ოქმს.

6. თუ გადაწყვეტილება შეეხება საზოგადოებასა და ერთ-ერთ პარტნიორს შორის დავას, მაშინ ამ პარტნიორს ხმის უფლება არა აქვს.

7. პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

ა) წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;

ბ) საწარმოს სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილებების მიღება;

გ) ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;

დ) ინვესტიციების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 15%-ს;

ე) ვალდებულებათა აღება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 15%-ს;

ვ) ვალდებულებათა უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და რომელთა ღირებულება აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 15%-ს;

ზ) პროკურის გაცემა და გაუქმება;

თ) წლიური შედეგების დამტკიცება;

ი) აუდიტორის არჩევა;

კ) საწარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

ლ) ხელმძღვანელ პირთათვის მოგებასა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრა;

მ) იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე აქვს დირექტორის ან/და პარტნიორის მიმართ, ასევე

საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორების წინააღმდეგ წარმართავს;

ნ) შენატანების მოთხოვნა;

ო) დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება;

პ) დირექტორების დანიშვნა და გამოწვევა, მათთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, აგრეთვე მათი ანგარიშების დამტკიცება;

ჟ) სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

რ) ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

8. ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას.

9. კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს. წერილობითი თანხმობა კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად.

10. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება მიიღება მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ ,,მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული არ არის გადაწყვეტილების ერთხმად მიღება და, თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის ანდა არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს.

11. პარტნიორთა საერთო კრებაზე პარტნიორებს აქვთ მათი წილის პროპორციული ხმათა რაოდენობა.

12. პარტნიორთა კრების, გადაწყვეტილებათა გასაჩივრება შესაძლებელია შესაბამისი ოქმის შედგენიდან 2 თვის ვადაში,ხოლო თუ კრება (სხდომა) მოწვეულ იქნა ან ჩატარდა კანონის ან წესდების ნორმათა უხეში დარღვევით, ამ შემთხვევაში გასაჩივრება დასაშვებია ერთი წლის ვადაში.

მუხლი 4. საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

1. საზოგადოებას ხელმძღვანელობს და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დირექტორი, რომელის თანამდებობაზე დანიშნავნის და გათავისუფლებს შესახებ გადაწყვეტილებას ამ წესდების შესაბამისად, როგორც დამფუძნებელი, იღებს ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

2. საზოგადოების დირექტორის არყოფნის, უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან შეწყვეტის შემთხვევაში საზოგადოების დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელს ნიშნავს მუნიციპალიტეტის მერი.

3. დირექტორი უფლებამოსილია იმოქმედოს საზოგადოების სახელით და წარმოადგინოს საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში.

4. დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად, ის უნდა მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ის ჯეროვნად არ შეასრულებს აღნიშნულ მოვალეობას, პასუხს აგებს კომპანიის წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პირადად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

5. დირექტორის ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას.

6. დირექტორის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

7. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირებს არა აქვთ უფლება, პარტნიორების თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობა მიიღონ მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში როგორც პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა.

8. საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება საწარმოს დირექტორს. ეს ვალდებულება არ ზღუდავს პარტნიორის (პარტნიორების) ან სხვა დაინტერესებული პირების უფლებამოსილებას, უზრუნველყონ ცვლილების რეგისტრაცა.

მუხლი 5. პარტნიორის უფლებები და მოვალეობები

1. საზოგადოების პარტნიორს გააჩნია შემდეგი უფლებები:

ა) მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში;

ბ) კონტროლი გაუწიოს საზოგადოების ხელმძღვანელობას;

გ) საზოგადოების მოგებიდან მიიღოს კუთვნილი წილი საზოგადოების კაპიტალში საკუთარი წილის პროპორციულად;

დ) შეუძლია პირადად გაეცნოს საზოგადოების საქმეებს და ამ მიზნით საზოგადოების წიგნები და ცანაწერები.

მუხლი 6. დაფინანსების წყაროები

1. საზოგადოების დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი;

ბ) დამხმარე სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი;

გ) გრანტები და შემოწირულობები;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლები;

2. საზოგადოების ნებისმიერი შემოსავალი უნდა მოხმარდეს მისი ამოცანებისა და მიზნების განხორციელებას, ხოლო ქედის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გამოყენებული იქნას სახელფასო დანამატების და ჯილდოების გაცემის მიზნით.

მუხლი 7. ქონება

1. საზოგადოება დასახული მიზნების განსახორციელებლად მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად გადაეცემა მუნიციპალური ქონება.

2. საზოგადოების ქონებას შეადგენს მის მფლობელობაში არსებული ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, ფინანსური რესურსები, რომელიც აისახება საზოგადოების დამოუკიდებელ ბალანსში.

მუხლი 8. საბუღალტრო ანგარიშგება და კონტროლი

1. საზოგადოება ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და წარუდგინოს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს.

2. საზოგადოების სახელმწიფო კონტროლი, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

3. საზოგადოების საფინანსო კონტროლის ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერი აუდიტორის (დამოუკიდებელი ან შიდა აუდიტი) მეშვეობით.

მუხლი 9. საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

1. საზოგადოების სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია, ხოლო დაყოფა და გაერთიანება (შერწყმა) წარმოებს მეწარმე სუბიექტის რეორგანიზაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. საზოგადოების ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია შესაძლებელია პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. სუბიექტის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია ხორციელდება ,,მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დაგენილი წესით.

მუხლი 10. წესდებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის წესი

წესდებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება ქედის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

3. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შირის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2020 წლის -- თებერვალი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის მოსმენის თაობაზე

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნას მიღებული ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შუქრი თურმანიძე**

დანართი №1

ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში

ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებული იქნა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #2 ბრძანების ,,შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" მე-4 მუხლის და 2010 წლის 20 სექტემბრის #7 ბრძანების ,,შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე რეგისტრირებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად. შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანა ხდებოდა პერიოდულად ადგილობრივ ბიუჯეტში შესული ცვლილებების შესაბამისად, რის შედეგადაც ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ საბოლოოდ შეადგინა 7120128 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იყო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა შესყიდვების წლიური და ინდივიდუალური დაგეგმვა, დაგეგმვის პროცესში პასუხისმგებლობების სწორი გადანაწილება, მიწოდების ბაზრის კვლევა, საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნების პროპორციულად განსაზღვრა და სპეციფიკაციების შემუშავება აღნიშნული ტექნიკური პირობების მომზადებაში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის მერიის ყველა სამსახური თავიანთი დარგობრივი ფუნქციების შესაბამისად.

2019 წლის განმავლობაში ბიუჯეტით გამოყოფილი ფინანსების შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად გაფორმებული იქნა სულ 252 ხელშეკრულება სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 7040080 ლარი. აქედან ელექტრონული ტენდერებით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა 6416665 ლარი, კონსოლიდირებული ტენდერით 216148 ლარი, გამარტივებული შესყიდვით 407267 ლარი სადანაც სააგენტოდან მიღებული ნებართვით გაფორმდა 364171 ლარის ხელშეკრულება ხოლო მონეტარული ზღვრების დაცვით გახარჯული იქნა 43096 ლარი.

შესყიდვების სააგენტოს თანხმობით ,გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულების რაოდენობა სამართლებლივი საფუძვლების მიხედვით ასე გადანაწილდა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით გამარტივებული შესყიდვით განხორციელებული იქნა 2 ღონისძიება ღირებულებით- 202200 ლარი; ექსკლუზიური უფლებამოსილებით 3 ღონისძიება, ღირებულებით 80660 ლარი და გადაუდებელი აუცილებლობით 5 ღონისძიება, ღირებულებით -81311 ლარი

2019 წელს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში საბოლოო სტატუსი მიენიჭა 163 ტენდერს რომელთაგანაც ხელშეკრულება დაიდო 123 ტენდერზე. არ შედგა-16, შეწყვეტილი იქნა-12 და უარყოფითად დასრულდა 12 ტენდერი. აღნიშნული ტენდერებით გათვალისწინებული შესყიდვების განსახორციელებლად განმეორებით იქნა გამოცხადებული ტენდერები, და შესბამისად შესყიდვის გეგმით გათვალისწინებული ყველა შესყიდვა სრულყოფილად იქნა განხორციელებული. გარდა დაბა ქედაში ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკის კეთილმოწყობის სამუშაოებზე გამოცხადებული ტენდერისა, რომელიც პრეტენდენტებს შორის დავის გამო ვერ დასრულდა და შეწყვეტილი იქნა.

გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების საერთო სავარაუდო ღირებულებამ 7260094 ლარი, ხოლო, სახელშეკრულებო ღირებულებამ 6416665 ლარი შეადგინა შესაბამისად, 2019 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული ტენდერების საშუალებით ეკონომია გაკეთდა და დაზოგილ იქნა 843829 ლარი, რაც გასული წლის მაჩვენებელს აღემატება 278849 ლარით.

ჩატარებული ელექტრონული ტენდერების ძირითადი ნაწილი 5830000 ლარი მოდის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე, როგორიცაა: მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, მოსახლეობის სასმელი წყლის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა, დაბის და ტერიტორიული ერთეულების ცენტრების კეთილმოწყობა, გარე განათების მოწყობა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, შიდა-საუბნო სასოფლო გზების მოწყობა, მინი სპორტული მოედნების, ამბულატორიების რემონტი და სხვა ღონისძიებები

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით შესყიდვები განხორციელდა: სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნვესაყოფად, „სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების“ და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების ,,თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების პროგრამით გაიხარჯა სულ 202200 ლარი, შეჭირვებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის მიზნით შესყიდული იქნა 30000 ლარის ღირებულების სახურავის თუნუქი. და სხვა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ ანგარიშგების საკითხება. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #2 ბრძანების ,,შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამსად ხდებოდა შესყიდვებთან დაკავშირებული ანგარიშების მომზადება და ერთიანი ელექტრონული სისტემაში ატვირთვა.